ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 243. — კვირა, 8 აგვისტო 1904 წ. — გაზეთის № 2577

კრუმზეიფენბახის ზარები

მოთხრობა ვილჰელმ ფონ-პოლენცისა

(შემდეგი*)

ასე ბატონობდა „დიდი გლეხი“ კრუმზეიფენბახში. იმდენად გაიდგა ფეხი, რომ სახსენებელი წინააღმდეგობაც-კი არავის გაუწევია. თუ კი ვინმე რამე წინააღმდეგობას გაბედავდა, სწრაფად და სამუდამოდ აუგებდა წესს. სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე, როცა მოხუც მღვდლის მაგივრად, რომელიც კრუმზეიფენბახში იყო-და ავათმყოფობის გამო სამსახურიდან გადადგა, მოვიდა ახალგაზდა მღვდელი. ახალგაზდა სულიერმა მამამ ბევრი რამ გამოსძებნა იმისთანა, რასაც შეკეთება ან გამოცვლა სჭირდებოდა. როცა რაიმეს გაუმჯობესობაზე იყო ლაპარაკი, სოფლის მამები გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს, მაგრამ როცა საქმე ასრულებაზე მიდგებოდა, საშინელს წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ მოწინააღმდეგობის მეთაური იყო, რაც მალე გაიგო მღვდელმა, შეუპოვარი მოხუცი კუმაკი, რომელსაც მთელი სოფელი მოწიწებით ახსენებდა ხოლმე და „დიდ გლეხს“ უწოდებდა.

სწორედ ასევე მოხდა, როცა მღვდელმა კრუმზეიფენბახის სამრევლო და საეკკლესიო საბჭოების შეერთებულს სხდომაზე ეკკლესიისთვის ახალი ზარები მოითხოვა.

ახალგაზდა სულიერმა მამამ სცადა, ხალხის თავმოყვარეობაზე ემოქმედნა, რითაც იმედი ჰქონდა თავისს სურვილს მიაღწევდა. საქმე ის იყო, რომ კრუმზეიფენბახელებს ძალიან მოსწონდათ თავი თავის სოფლითა და იმის წესწყობილებით. მღვდელმა აღნიშნა, რამდენად უხერხული იყო, რომ იმ ახლო-მახლოში ყველაზე უარესი ზარები იმათ ეკკლესიაზე ეკიდა. ახალმა მწყემსმა მოახერხა, თავისი წინადადება სხვა მხრითაც სახარბიელოდ ეჩვენებინა. ძველი ზარების გაცვლა ახლებზე შესაძლებელი იყო. შეიძლებოდა უმაღლეს სასულიერო მთავრობიდან რაიმე შემწეობა მიეღოთ. ვისაც მუსიკისა გაეგებოდა რამ სოფლის მამებს შორის, იმათ ისიც აუხსნა, რომ შეიძლებოდა ეშოვნათ მშვენიერად შერჩეული ზარები. ამრიგად ახალი ზარების შეძენა ბევრნაირად იყო სასარგებლო.

როცა ვაჭრულ და ტეხნიკურს მხარეზე ლაპარაკი გაათავა, სულიერმა მამამ საქმის იდეალურს მხარეზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ნიჭიერად დაუხატათ, რამდენად მანუგეშებელი იქნებოდა, როცა კვირა დღეს დილით ახალ ზარების ხმა მაღლა სამრეკლოდან ძირს მთელს სოფელს მოეფინებოდა და ხალხს ეკკლესიაში მიიწვევდა; რა დიდებული და გულის მომლბობი რამ იქნებოდა, როცა დასაფლავების დროს სამგლოვიარო ზარის ხმა მოისმოდა; რა სასიხარულო იქნებოდა, როცა ჯვარის წერის დროს დიდი ზარი ზუზუნს დაიწყებდა; ან რა აღტაცება გამოიხატებოდა, როცა ბზობას ახლად მირონცხებულ და ნაზიარებ ბავშვების დალოცვის შემდეგ სამივე ზარს ერთად დარეკდნენ; ან კიდევ როცა რომელიმე მიცვალებულის განსაკუთრებულ პატივსაცემლად ქადაგების შემდეგ სამივე ზარი ერთად აზუზუნდებოდა.



შველების ოჯახი.—სურათი ეტიერისა.

მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მღვდელს ნაძტომი შეეშალა. როცა თავისი წინადადება გაათავა, კრებაზე სიჩუმე ჩამოვარდა. სოფლის მამები დროგამოშვებით და ჯერ-ჯერად ახვევლებდნენ, თან „დიდ გლეხ“-ს შეჰყურებდნენ: მოწიწებით მოელოდნენ, რას იტყოდა ის ამ საქმის შესახებ.

*) იხ. „დამატება“ № 242, 1904 წ.

ადგილი, სადაც მოკვდეს შანგან სუმეო მინისტრი ფონ-ჰდე�g.

ხრისტლის კუმაკმა დაიდო წინ მაგიდაზე მუშტი, მიაშტერდა თითებს და თითქო თითებს ელაპარაკებათო, დაიწყო:

— აქამდის კრუმზეიფენბახში ყველანი კმაყოფილნი იყვნენ. აქამდის ყველაფერი კარგად მიდიოდა და კარგადვე წავა შემდეგაც პასტორისაგან დამოუკიდებლად. რაც შემეხება კერძოდ მე, ყოველ კვირა დღეს დავდივარ ეკკლესიაში და ვიელი კიდეც, ახალი ზარები იქნება თუ ძველი, სულ ერთია. ძველი ზარები ამდენ ხანს გვემსახურნენ და კიდევ დიდ ხანს გვემსახურებიან. რა მოხდება ჩემ სიკვდილის შემდეგ, ეს ჩემთვის სულ ერთია; მაგრამ ჩემ სიცოცხლეში კი ახალი ზარების შეძენა არ იქნება!

ამით გათავდა მოხუცმა.

სოფლის მამებმა თავის ქნეეთ ანიშნეს, რომ ეს აზრი მათ გულში იყო ამონაკითხი. ახალგაზდა ფიცხ მღვდელს ნაღველი გაუსივდა. რა უნდა უთხრას ამ გამოყეყეჩებულს! გინდა მათთან ულაპარაკნია, გინდა კედლისთვის უთქვამს: ადგილიდან დაიძარიო. მაგრამ ერთხელ მაინც უნდა გამოეთქვა თავისი აზრი საზოგადოებისთვის. სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. დაუწყო გაცხარებულათ კიცხვა მათ განუვითარებლობას, შეუგნებლობას და სიძუნწეს, რაიცა იმას ხელს უშლიდა, კეთილი სურვილები აღსრულებაში მოეყვანა.

მღვდლის გაცხარებულ სიტყვებზე კუმაკმა მეტის მეტად წყნარად უპასუხა: შეიძლება ყველა ბატონ პასტორივით ნასწავლი არ იყოს, მაგრამ, რაც შეეხება განუვითარებლობას, „ნასწავლი ხარებიც“ ხომ არიან! აგრეთვე რაც სიძუნწეს შეეხება, ვინც მრეველის ხარჯზე სცხოვრობს, ყოველ წლიურად ჯამაგარს იღებს, იმას ადვილად შეუძლიან სხვებს მოსთხოვოს, რომ თავის ჯიბიდან გამოიღოს ფული. თითონ ის (კუმაკი) კეთილი ქრისტიანეა, ძალიან უფლისს უფალს, ყოველს კვირა დღეს დადის ეკკლესიაში და ყურს უგდებს ბატონ პასტორს, როცა იგი კათედრაზე დგას...

აქ კი ვეღარ მოითმინა სულიერმა მამამ.

— დიაღ, ბატონო კუმაკ, ეკკლესიაში ყოველ კვირა დღეს დადიხართ, ეს მართალია! მაგრამ რას აკეთებთ იქ? იქნება გგონიათ, ბატონო კუმაკ, რომ თვალი ან ყური არა მაქვს! რისთვის დადიხართ ღვთის სახლში? დასაძინებლად! დიაღ, მე თვითონაც ვნახე. სრულიად გულ-დამშვიდებულად გძინავთ და ხვრინავთ ქადაგების. დროს. ვთხოვ აქა მყოფთ, სთქვან სიმართლე: ხვრინავდა თუ არა კუმაკი წასულს კვირას

შეშფოთებულმა სოფლის მამებმა ერთმანეთს გადაჰხედეს. მართალს ამბობდა ბატონი პასტორი. „დიდ გლეხ“-ს მართლაც ეძინა ხოლმე ეკკლესიაში. წასულ კვირას ხვრინავდა კიდეც ქადაგების დროს. რასაკვირველია, მთელმა მრეველმა გაიგონა ხვრინვა. ეს არც პირველი მაგალითი ყოფილა. სრულიად მართალი იყო ბატონი პასტორი. მაგრამ ამ მხრივ ყველანი ცოდო�gლები იყვნენ. ეკკლესიაში ძილი, ცოტათ თუ ბევრად, ყველას უყვარდა, მხოლოდ კუმაკივით საქვეყნოდ არ ეძინათ. ქადაგების დროს ხვრინვა კი კრუმზეიფენბახში მხოლოდ „დიდ გლეხ“-ს შეეძლო, ეს იმისი პრივილეგია იყო.

„დიდ გლეხ“-ს სახე გაულურჯდა. რანაირად გაკადნიერდა ეს ყმაწვილი კაცი! იმან უნდა უბრძანოს, როგორ მოიქცეს! ორმოცდა ათი წელიწადია დადის ეკკლესიაში და სძინავს ქადაგების დროს. არც ერთს პასტორს არა უთქვამსრა და ეხლა კი გამოტაცვრა ვიღაცა! კუმაკმა იგრძნო, რომ საზუმარო საქმე არ იყო. თუ ეხლა დაუთმობდა რაშეს, მაშინ სრულიად დაკარგავდა გავლენას მრეველზე. ან პასტორი, ან ის! მხოლოდ ერთმა იმთგანმა უნდა იპარპაშოს კრუმზეიფენბახში.

იმისი პასუხი ძალიან ადვილი გასაგები იყო. წამოდგა და წინაალმდეგობის ნიშნად მღვდლის სახლიდან გარეულ გამოვიდა. თან გაჰყვნენ თავისი ყურ-მოჭრილი მონებიც.

ამ დღიდან მღვდელსა და სოფლის შორის აშკარად დაიწყო განხეთქილება.

პირველად გლეხმა კუმაკმა გაიმარჯვა. ცოტათი კი არ იკვეხიდა ამ გამარჯვებას. ვინც კი ყურს დაუგდებდა, ყველას ეუბნებოდა, რომ პასტორი ჩემი ყურმოჭრილი მონა უნდა გახდესო; ვერ დაესთმობ, რომ კრუმზეიფენბახში ხალხს ძველი სასიკეთო წეს-რიგი მოესპოს ვიღაც ახალ მეტიჩარას მეოხებითაო. ამას უმატებდა, დაეძინებ, სადაც მინდა და ხვრინვას დავიწყებ ისე მაღლა, როგორც მომეწონებაო. თუ კი ვინმე გაბედავს იმ დროს ჩემ შეწუხებას... დანარჩენს მოახუცი სიტყვების მაგირად მრავალ-მნიშვნელოვანის ხელის ჩაქნევით აგებინებდა მოსაუბრეს.

პირველსავე კვირას—ეს იყო დიდმარხვის მეოთხე კვირაში—გლეხი კუმაკი თავისს ჩვეულებრივს ადგილზე იჯდა ეკკლესიაში. გვერდით უჯდა თავისი შვილი გერმანი. მუქარით შეხედა გლეხმა პასტორს, რომელიც ამ დროს კათედრაზე ავიდა, თითქო უნდოდა ეთქვა: „აი, აქა ვარ, აბა, ვნა-[illegible]“-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხმა დანარჩენ მრეველთან ერთად ფეხზე მდგომმა იგალობა ქადაგების წინ საგალობელი მუხლი. მერე ჩაიყო ხელი თავის ლურჯ სერთუკის ჯიბეში, ამოიღო სპასურნუთე კოლოფი, საღანაკ, როგორც ყოველთვის იქცეოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, აიღო ორი მოწეკა ბურნუთი ორივე ნესტოსთვის. ეს ჩვეულება ღვთის-მსახურების ნაწილი ეგონა, რომელსაც მისის აზრით მცირე მნიშვნელობა კი არ უნდა ჰქონოდა. კოლოფი ფრთხილად ისევ ჯიბეში ჩაიდო, ცხვირს დაიცემინა, გადაწვა უკან, უძრავად მიაშტერდა თვალებში პასტორს, რომელმაც ქადაგების პირველი ნაწილი უკვე დაიწყო. ნელ-ნელა დაუწყეს გლეხს თვალებმა ფახური. ბოლოს სულ დახუჭა.

„დიდ გლეხ“-ს ჩაეძინა. ეს მალე შეამჩნია მრეველმა იმ ღრმა და გრძელს ხრიწინას ხმებზე, რომლის არ გაგონებაც არ შეიძლებოდა.

მეზობლები მოწიწებით უგდებდნენ ყურს მძლავრის ძილს. იმათ არ დავიწყებიათ როგორ დამუქრა კუმაკი ყველას, ვინც კი გაბედავდა იმის გაღვიძებას. ის კაცი იყო და თავისს სიტყვას აასრულებდა.

ხვრინვა გრძელდებოდა და, როგორც ქადაგების აკომპანიმენტი, ბგერად ჰარმონიულად.

ზოგმა თავი ჩაღუნა, იცინოდა, თავისს მეზობლებს ხელსა კრავდა. იცოდნენ საქმე რაშიც იყო. „დიდმა გლეხმა“ მაინც თავისი გაიტანა.

პასტორი გაფითრდა, ხმა აუკანკალდა. უცბად შესწყვიტა ქადაგება, გაჩუმდა. სამარისებური სიჩუმე გამეფდა ღვთის სახლში. მხოლოდ ხვრინვა ეხლა ერთი ორად უფრო მძლავრად ისმოდა.

ამ დროს წამოდგა ფეხზე „დიდი გლეხი“-ს შვილი. გერშან კუმაკი ეკლესიის თეთრათ შეღებილ კედელივით იყო გაფითრებული. ჯერ წყნარად გამოსწია მამას ხელში, მერე, როცა ამან არა უშველა რა, უფრო მაგრად შეანძრია. მგრგვინავი ხმები შესწყდა. გაღვიძებულმა გლეხმა გაახელა თვალები და უაზროდ შეხედა თავისს შვილს. „ეკკლესიაში ხარ, მანავ!“ ჩასჩურჩულა გერმანმა.

ამ დროს მოისმა ტყლაშუნი, შემდეგ მეორე: გლეხმა კუმაკმა თავის სშვილს სილები უთავაზა.

**

დამნაშავის გარდა ყველასათვის აშკარა იყო, რომ მოხეტიალ საქმე ცუდად დასრულდებოდა.

რა უნდა ნეტავი ამ ხალხს? რას ლაპარაკობენ გამოძიებაზე, სამართალზე, ციხეზე?—განა ეკკლესიაში ძილი დანაშაულობაა? ან იქნება უფლება არა ჰქონდა, თავის შვილისთვის სილა გაერტყა? თავის სისხლსა და ხორცისთვის? აკი წინადვე გამოაცხადა, არავინ გაბედოს ჩემი გაღვიძებაო. იმ გამოუცდელმა ბალღმა-კი არ მიაქცია ყურადღება ამ სიტყვებს.

ვის შეეძლიან აუკრძალოს თავისი შვილის დასჯა? თითონ კუმაკს მამა მისი ჯოხითა სცემდა ხოლმე. ეს თვით ღვთისაგან არის დაწესებული.

მაგრამ ეს ხომ ეკკლესიაში მოხდა! ჰო, რა თქმა უნდა, ეს ვერ არის წესიერი. რომ დაჰფიქრებოდა წინათვე და ასე არ მომხდარიყო, სჯობდა. მაგრამ ამისთვის დასჯა! არა, ეე არც ისე სახიფათოა, როგორც ხალხს ჰგონია. ტყეილად ხომ არ არის „დიდი გლეხი“. ჯერ იმის ამისთანა არა დამართნია-რა. ელაც მოახერხებს აქედან გამოძრომას. თავი და თავი ის არის, კაცი ცხენივით არ დაფრთხეს.

მაგრამ როცა სასამართლოდან უწყება მიიღო, როცა ნახა, რომ სხვა გლეხებსაც ამ საქმის გამო გამოკითხვა დაუწყეს, მაშინ-კი იგრძნო, რომ საქმე უფრო სახიფათო იყო, ვიდრე იმას ეგონა.

სასოფლო-სასამართლოებში არც მაშინ ჩავარდნილა. ერთი გზა მაინც კიდევ იყო. ხრისტლიბ კუმაკმა ცბიერად ჩაიცინა, როცა ამ აზრამა თავში გაუბრწყინა. შემდეგ ჩაიცვა თავისი საღდესასწაულო სერტუკი და მღვდლის სახლისაკენ გასწია.

პასტორს ძალიან გაუკვირდა, როდესაც თავის სახლში „დიდი გლეხი“ დაინახა. „აჰა, მონანულებში ჩავარდნილი ცოდვილი“! [illegible]

ეუმბრაია დამტვრეული ეტლი მინისტრის ფონ-ბელეკეს.

Digitized by Georgian National Parliament Library

სულიერი მამა დიდი ხანია ვულ დამშვიდებული იყო და მოხუც ვლეხის საწინააღმდეგო ღონა ჰქონდა-რა. იცოდა, რომ სასამართლოში მოხუცის საქმე ცუდად წავიდოდა. ძალიან სწუხდა, რომ საქმემ აქამდის მიაღწია. ამ საქმეში თავისს თავს უდანაშაულად ვერა სთვლიდა, და მზად იყო, შესარიგებლად ხელი გაეწოდა, თუ კი მოხუცი ისურვებდა.

მაგრამ პასტორს ძალიან ყალბი წარმოდგენა ჰქონდა ვლეხ კუმაკზე: მოხუცმა არ იცოდა, რა იყო სინანული. სულ სხვა ფიქრებით და განზრახვებით მოვიდა იგი თავის სულიერ მწყემსთან.

— ბატონო პასტორო, თქვენ ფიქრობდით და კრებაზეც ლაპარაკობდით ახალს ზარებზე: ახალი ზარები უნდა ვიყიდოთო. მეც ვიფიქრე ამ საქმის შესახებ. მართალი ბრძანდებით, ბატონო პასტორო, ახალი ზარები უნდა ვიყიდოთ. ძალიან კარგი იქნებოდა ეს, რომ მრეველს ფული ჰქონდეს. სამს ახალს ზარს კარგი ბლომად დასჭირდება ფული. მეც ვიფიქრე ჩემთვის, რა იქნება, რომ ვიყიდო ზარები მეთქი. აი ამისთვის მოველი აქ, ბატონო პასტორო; მინდოდა თქვენი აზრი გამეგო: რას იტყვით, ახალი ზარები რომ ვიყიდო?

სულიერმა მამამ გაკვირვებით გადახედა თავისს სტუმარს. დალახვროს ღმერთმა, რა ნაირად გამოცვლილა ეს კაცი, რა ზრდილობიანი და უხვი შექმნილა! ეკვი კი შეეპარა: აქ სხვა რაღაცა მიზეზი უნდა იყოსო. არაჩვეულებრივი მოვლენაა.

მღვდელი ჩაუშტერდა მოხუცს თვალებში და შეეკითხა, რამდენი უნდა, ან როგორ უნდა, რომ შესწიროს.

— არა, ბატონო პასტორო, ეგრე ჩქარა არ შეიძლება. არც აქეთ, არც იქით! შემოწირულებაზე ჯერ არავინ არ ველაპარაკებთ. ჯერ მოვუცადოთ სასამართლოში საქმის გარჩევას. ნეახოთ, რას იტყვიან ჩემს წინააღმდეგ მოწმეები. მერე ჩავწეროთ შემოწირულება. დღეს მხოლოდ ამას ვიტყვი: თუ სასამართლოდან განთავისულებული წამოვალ, ჩვენი საყდრისთვის ახალს ზარებს ვიყიდი. მგონია, ეს კმარა. სილა ასე ძვირადაც არა ღირს, მაგრამ როგორც ვამბობ: თუ გამამართლებენ, გამოვიღებ ფულს, მანამდის კი არა.

ძალიან გაუკვირდა ვლეხს, რომ სულიერი მამა არამც თუ ორივე ხელებით არ მოეკიდა ამ სასარგებლო საქმეს, რომელიც ღღესაკით ნათელი და აშკარა იყო, წყენითაც კი უარჰყო.

ოჰ, ეს პასტორები! მაგათ მხოლოდ სწავლა შეუძლიანთ. ამისთანა სახეიერო საქმეს, რომელიც ნათლად ხელის გულზე ედო, ვერა ჰბედავენ.

რაკი პასტორი ისე ტუტუცი გამოდგა, კუმაკმა თავისი-მიედები მეზობლებზე დაამყარა. მეზობლები უკეთ გიიგებდნენ იმ სარგებლობას, რომელსაც ისა ჰპირდებოდათ. ესეც რომ არ იყოს, მსაჯულები მაინც გონიერულად შეხედავენ ამ წინადადებას.

ს. ტოროშელიძე.

(დასასრული იქნება)

ტფილისის „კარუსელი“ და ჩვენი ბავშვები

„კრუფოკ“-ში გამგზავრება ეკლიბით.

ბანქოს სათამაშო სტოლთან.

სასდელი დაბრუნება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი